ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №4

ქ. ლანჩხუთი

31.05.2023.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: სპარტაკ კვაჭაძე, გიორგი ჩახვაძე, გიორგი გოგუაძე, ვერიკო კვირკველია, ჯუმბერ ბლაგიძე და კახა თედორაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ საკითხზე. დეტალურად კი, ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ წინა წელს საფინანსო სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის ფორმირება და დადგენილ ვადაში წარედგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად და დამტკიცდა 2021 წლის 25 ნოემბრის #26 დადგენილებით. დამტკიცების შემდეგ შემოსავლები და გადასახდელები აისახა ელექტრონულ სისტემაში კვარტალურ ჭრილში საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და ღონისძიებების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვის შედეგად დასაფინანსებელი ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მომზადებული იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების 6 პროექტი, შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 19285286 ლარით, მათ შორის საკუთარი შემოსავლების ხარჯზე 1596255 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით 12811022 ლარით, ნაშთის ხარჯზე 4878009 ლარით, სულ მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 32720086 ლარით.

პერიოდულად მერის ბრძანების შესაბამისად ხდებოდა სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა და მისი ასახვა ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ღონისძიებების კოდზე.

სამსახურის ჩართულობით შეირჩა სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტები და დაფინანსება განხორციელდება 2022 წლის ბიუჯეტით.

სამსახურის ჩართულობით 2022 წლის მარტის თვიდან დაიწყო და შემუშავდა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი.

სამსახურის მიერ დროულად ხდებოდა საგადასახადო ვალდებულებების და მოთხოვნების რეგისტრაცია.

სამსახური შესყიდვების განყოფილების მიერ მოწოდებული ხელშეკრულებებს არეგისტრირებს და ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში დარეგისტრირებული ხელშეკრულებების შესაბამისად ხორციელდებოდა შესაბამისი ვალდებულებების აღება, პირველადი დოკუმენტების სისტემაში ატვირთვა, ინვოისების მომზადება და ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოთხოვნების მომზადება. 2022 წელს სულ განხორციელდა 28390465 ლარის ღირებულების ტრანზაქცია.

სამსახურის მიერ დროულად ხდებოდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გასაცემების დარიცხვა, ჩარიცხვა პირად ანგარიშზე. საგადასახადო დეკლარაციების შედგენა და შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში მისი დადგენილ ვადაში გადაგზავნა.

2022 წელს სამსახურმა მუნიციპალილეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-დან მიიღო 94 ერთეული საანგარიშო თვის ბიუჯეტის შესრულების და 8 წლიური ფინანსური ანგარიშგების ანგარიში განმარტებითი ბარათებით, შპს-დან 24 ერთეული საანგარიშო თვის ბიუჯეტის შესრულების და 2 წლიური ფინანსური ანგარიშგების ანგარიში განმარტებითი ბარათით.

2022 წელს სამსახურის მიერ შემუშავდა და დასამტკიცებლად წარდგენილი იქნა შიდა საღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქცია საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მან ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის წლიური პარამეტრებზე და აღნიშნა, რომ შემოსულობებმა შეადგინა 28319646 ლარი, რაც პროგნოზით გათვალისწინებულზე 117811 ლარით მეტია, გეგმა შესრულდა 100,4 %-ით, მათ შორის: გადასახადები შესრულებულია 102,5 %-ით, ნაცვლად პროგნოზით გათვალისწინებული 11545000 ლარისა, შემოსულია 11828664 ლარი. სხვა შემოსავლები შესრულებულია 99,9 %-ით, პროგნოზით გათვალისწინებულ 2680755 ლარისა, შემოსულია 2679391 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შესრულებულია 118,7%-ით, ნაცვლად პროგნოზით გათვალისწინებულ 310300 ლარისა, შემოსულია 368215 ლარი. გრანტები მიღებულია 13443376 ლარი, ნაცვლად 13665780 ლარისა, პროგნოზით გათვალისწინებულის 98,4%-ი. აქედან, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 1084795 ლარი (წლიური გეგმის 89,5%), საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილია 5564811 ლარი (წლიური გეგმის 100 %-ი). სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დასაფინანსებლად 748000 ლარი (წლიური გეგმის 100%-ი), სპეციალური ტრანსფერი - სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 1529882 ლარი (წლიური გეგმის 95,6%-ი).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წელს (კაპიტალურის ჩათვლით) მიღებულია 14876270 ლარი, წლიური შემოსავლების პროგნოზით გათვალისწინებულზე 340215 ლარით მეტი, გეგმა შესრულებულია 102,3%-ით. მათ შორის: დამატებით ღირებულების გადასახადი 10478733 ლარი, წლიური პროგნოზის 101,1%, რაც მთელი შემოსავლების 70,4% -ს შეადგენს. საწარმოთა ქონების გადასახადი შემოსულია 604086 ლარი, წლიური პროგნოზის 124,6%. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოსავალი მიღებულია 214577 ლარი, პროგნოზით გათვალისწინებულზე 164577 ლარით მეტი. არასასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადიდან შემოსავალი 668267 ლარს შეადგენს (104,4%). ჯარიმების, სანქციებისა და საურავების სახით ბიუჯეტში მიღებულია შემოსავალი 1927006 ლარი (97,5%). მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 145488 ლარი(145,5 %). შემოსავალი მიწის (იჯარიდან და მართვაში უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულია 9155 ლარი (91,6%).

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართა 5128009 ლარი, მათ შორის;

- დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებაზე 3020718 ლარი.

პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გამოყოფილი ასიგნების ათვისება შემდეგია;

- ინფრასტუქტურის განვითარებაზე გეგმიური 13490690 ლარის ნაცვლად მიიმართა 10870080 ლარი, (80,6 %-ი).

- განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა 3784786 ლარი, ნაცვლად 3883804 ლარისა. (97,4 %-ი).
- კულტურის სფეროს განვითარებაზე მიიმართა 3399108 ლარი, ნაცვლად 3457802 ლარისა, (98,3 %-ი).
- საზოგადოებრივ ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე მიმართულია 165767 ლარი, ნაცვლად 173000 ლარისა (95,8 %-ი).
- სოციალური ღონისძიებების დაცვაზე მიიმართა 932974 ლარი, ნაცვლად 957800 ლარისა, (97,4%)
- მმართველობითი ღონისძიებების დაფინანსებაზე მიიმართა 7339487 ლარი, ნაცვლად 9359185 ლარისა (78,4 %-ი).

2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკასო ხარჯმა 28390464 ლარი შეადგინა, პროგნოზით გათვალისწინებული ხარჯების 86,8%. საბიუჯეტო დაწესებულებებში შტატით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 6165824 ლარი, გაწეული საკასო ხარჯების (კაპიტალურის გარეშე) 38,6%. შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 2426754 ლარი (ხარჯების 15,2%). ოფისის ხარჯებზე მიიმართა 986774 ლარი (6,2%), წარმომადგენლობით ხარჯებზე 47986 ლარი. კვების ხარჯების დაფინანსებამ 1259979 ლარი შეადგინა, ხარჯების 1,6%. შემენილ იქნა 41492 ლარის რბილი ინვენტარი.

ტრანსპორტის ექსპლოატაციის ხარჯმა 1898357 ლარი შეადგინა, რაც საკასო ხარჯების 11,9 % შეადგენს. სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 965549 ლარი (6,0%). მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით აღებული (ნაგავმზიდების შემენის) სესხის ძირითადი ვალდებულება დაიფარა 58 008 ლარით, ხოლო მომსახურების პროცენტი 28740 ლარით. სულ ამ მიმართულებით გაიხარჯა 86748 ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ების დაფინანსებაზე მიმართულია 365100 ლარი. სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 932974 ლარი (ხარჯების 5,8%). სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 1367189 ლარი, აქედან 859125 ლარი მიმართულია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია-რეაბილიტაციაზე. ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე მიმართულია 10870080 ლარი, ბიუჯეტით გაწეული საკასო ხარჯების 68,1 %. აქედან, გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიიმართა 6777512 ლარი, წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე 5000 ლარი, გარე განათების ქსელის მოწყობაზე 199900 ლარი, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვაზე გაიხარჯა 420207 ლარი, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციაზე 510482 ლარი, განათლების ობიექტების რეაბილიტაციაზე 187114 ლარი, კულტურის ობიექტებზე მიიმართა 234188 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 679412 ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციებისათვის გაიხარჯა 1196962 ლარი, გეგმის 91,8%, მ.შ. შტატით დასაქმებულ პერსონალზე 811165 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 233306 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 64111ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 2766589 ლარი, გეგმის 89,1%-ი, მათ შორის შტატით დასაქმებულ პერსონალზე გაიცა შრომის ანაზღაურება 1937007 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე მიიმართა 718625 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 194654 ლარი.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 176572 ლარი, გეგმის 86,9%-ი, შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 139888 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 29425 ლარი.

ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრი დაფინანსდა 159246 ლარით გეგმის 88,4%-ი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე 93305 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურებაზე 43401 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 29500 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ დაფინანსებაზე მიიმართა 2352125 ლარი გეგმის 99,7%-ი, მათ შორის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 312313 ლარი. საქონელი და მომსახურების ხარჯმა 2022820 ლარი შეადგინა, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე დახარჯულია 1037164 ლარი. წყლის სისტემის (სოფლები)

ექსპლუატაციის ხარჯებზე მიიმართა 107891 ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლუატაციაზე 239922 ლარი. სასაფლაოების მოვლა პატრონობაზე გაიხარჯა 41086 ლარი, მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობაზე 22148 ლარი, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 206865 ლარი, დასუფთავება და ნარჩენების გატანაზე მიიმართა 1671586 ლარი, უპატრონო ცხოველების დაცვით ღონისძიებაზე 19810 ლარი.

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის ფუნქციონირებაზე მიიმართა 2725350 ლარი, გეგმის 99,8%-ი, მათ შორის შტატით მომუშავეთა ანაზღაურებაზე 1913388 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 792996 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 167439 ლარი, კვების ხარჯები დაფინანსდა 257369 ლარით. 18965 ლარი მიიმართა არაფინანსური აქტივების შეძენაზე.

საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯმა 839795 ლარი შეადგინა.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 544740 ლარი გეგმის 99,9%-ი. მათ შორის შტატით დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება 79632 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯი 398088 ლარია, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 308277ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 22989 ლარი.

ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსებაზე მიიმართა 315854 ლარი გეგმის 100%-ი. მათ შორის შტატით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება 59392 ლარია, საქონელი და მომსახურებაზე გაიხარჯა 247262 ლარი, აქედან 198890 ლარი გაიხარჯა შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 4200 ლარი.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსებაზე მიიმართა 890034 ლარი, გეგმის 97.2%-ი, მათ შორის შტატით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებამ 340883 ლარი შეადგინა, საქონელი და მომსახურებაზე გაიხარჯა 520332ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 373579 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 26389 ლარი.

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დაფინანსებაზე მიიმართა 409488 ლარი, გეგმის 100%-ი, მათ შორის შტატით დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე 364444 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯი 45044 ლარია, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურება 30445 ლარი.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებამ 165767 ლარი შეადგინა გეგმის 95,8%-ი, მათ შორის შტატით დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებამ 114405 ლარი შეადგინა, საქონელი და მომსახურების ხარჯი 51362 ლარია, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 22692 ლარი.

შ.პ.ს. „ლანჩხუთი"-ს /მუნიციპალური სტადიონი/ ფუნქციონირებაზე გაიხარჯა (სუბსიდია) 190100 ლარი, გეგმის 100%-ი. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 27900 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 127761 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე 84403 ლარი.

შ.პ.ს. ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „ლანჩხუთი"-ს საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 175000 ლარი, გეგმის 100%-ი. შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 16984 ლარი, საქონელი და მომსახურება 158016 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 158016 ლარი.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ფორმირებაში აქტიურად უნდა იღებდნენ მონაწილეობას როგორც მერიის სამსახურების, ასევე ა(ა)იპების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი პირები.

გიორგი გოგუაძემ დააყენა წინადადება და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის საკრებულოს სულ ყავს 7 რიგითი დეპუტატი და სასურველია მათი სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯი გაიზარდოს 1000 ლარამდე. მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ტერიტორიაზე, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ტივტივას, რომელიც უზრუნველყოფს გემებზე ნავთობის ჩატვირთვას, ემსახურება ფოთის ნავსადგური. მან დააყენა წინადადება, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ იზრუნოს იმ საკითხზე, რომ შემოსავალი, რომელსაც იხდიან აღნიშნული ტივტივას მომსახურეობაში მობილიზებული იქნას ადგილობრივ ბიუჯეტში.

ჯუმბერ ბლაგიძემ დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში იგეგმებოდა თუ არა

ა(ა)იპების თანამშრომლებზე ხელფასების ზრდა არა 10%ით, არამედ მეტით, რაზეც როლანდ ლაშხიამ უპასუხა, რომ ხელფასების ზრდა მოხდება მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს 10%იან მატებას.

გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ ყოვლად მიუღებელია ნებისმიერი დასაქმებული პირის ხელფასი შეადგენდეს 500 ლარზე ნაკლებს.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპებში არის დასაქმებული საჭიროზე ბევრად მეტი ადამიანი და აქედან გამომდინარე სანამ ეს საკითხი არ მოწესრიგდება ვერც ხელფასების თემა დარეგულირდება.

ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ მოსაწესრიგებელია, როგორც სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯის, ასევე საწვავის თემაც, კერძოდ მოითხოვა ფრაქციის თავმჯდომარისთვის საწვავის დამატება.

წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში დადებითად იქნა შეფასებული კომისიის წევრების მიერ.

სხვადასხვა

- **ჯუმბერ ბლაგიძემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ სოფელ სუფსის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერი არის მოუწესრიგებელი და აუცილებელია მოხდეს აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავება.**

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი

31.05.2023 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №4

2023 წლის 31 მაისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში დადებითად იქნა შეფასებული კომისიის წევრების მიერ.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

31.05.2023 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
2	ია მოქია	არ ესწრებოდა	
3	გიორგი ჩახვაძე	11 55	
4	სპარტაკ კვაჭაძე	11-54	
5	კახა თედორაძე	11 55	
6	ვლადიმერ ნანაძე	არ ესწრებოდა	
7	გიორგი გოგუაძე	11 50	
8	ვერიკო კვირკველია	12 00	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	11 50	